განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24–ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77–ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ–ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5,0%–ის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2–ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77–ე მუხლის 6–ე და 6^1–ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **32 776 000 ლარს შეადგენს.** 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 163 100 ლარით

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 27776 000 ლარით;

  2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ღღგ გაზრდილია (2 863 100 ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 5 000 000 ლარს;

  2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადის ზრდა შეადგენს 300 000 ლარს.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 32 362 906 ლარამდე, მათ შორის:

  აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 29 000 000 ლარი; *2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით კაპიტალური ტრანსფერი შემცირებული (-1 124 500 ლარით).*

  აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი 5 700 000 ლარი; *2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით* სპეციალური ტრანსფერი *გაზრდილია (3 518 000 ლარით).*

  სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო მიზნობრივი ტრანსფერი 522 976 ლარი. *2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერი გაზრდილია (181 888 ლარით).*

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გამოყოფილი გრანტები 2026 წელს 53 %-ით (181 888 ლარით) იზრდება.

- **სხვა შემოსავლები 3 708 000 ლარის ოდენობითს:**

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 968 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✔ პროცენტები 90 000 ათასი ლარი.
  - ✔ რენტა 878 000 ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 2 010 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

  - ✔ სანებართვო მოსაკრებლები 50 500 ლარი;
  - ✔ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1 790 000 ლარი;
  - ✔ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 60 000 ლარი;
  - ✔ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 110 000 ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 670 000 ლარის ოდენობით.**

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 60 000 ლარი;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **71 846 906** ლარს (2025 წლის პირველად დამტკიცებულ ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით იზრდება 6 097 238 ლარით, ხოლო საბოლოლოო ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებაში იზრდება 4 300 864 ლარით). წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია საჯარო მოხელეების კატეგორიის მიხედვით ხელფასების ზრდა, ასევე აიპებისა და შეპესეებზე ხელფასების ზრდა 10 პროცენტით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება – მათ შორის:**

წყლის სისტემების განვითარება -1 955 812 ლარი;

შპს ხელვაჩაურის წყალი-1 994 500 ლარი

- ✔ **გარე განათება - 858 000 ლარი;**

გარე-განათების ქსელის მოვლა ექსპლოატაციის შენახვის ხარჯებისათვის 400,000ა□□□□ □□□□, □□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□□ ხარჯებისათვის გაიხარჯება 458,000 ათასი ლარი:

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია 0 ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების (ამხანაგობების) მშენებლობა-რეაბილიტაცია,

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა.

- ✔ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცენტრების გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.
- ✔ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო,ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები** განსაზღვრილია **400 000** ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა)

- ✔ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 968,0 ათასი ლარი; *(რომელიც 2026 წლის პირველ კვარტალში გამოიყოფა აჭარის არრ ბიუჯეტიდან, რის შემდგომაც ხდება ბიუჯეტში დაბუსტება აღნიშნული თანხის)*

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული სოფლის მოსახლეობა.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2 066 912 ლარით; მათ შორის:**

- ✔ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 530 000 ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა,

- ✔ **აიპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური"- 1 507 354 ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. სამსახური უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია მოვლა-პატრონობას. ასევე უზრუნველყოფს მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანას.

- **განათლება - 14 444 909 ლარი, მათ შორის:**
  - ✔ **სკოლამდელი განათლება - 9 076 546 ლარი;**
  - ✔ **კაპიტალური ხარჯები - 5 246 863ლარი;**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მიმდინარე წელს დაწყებული 2 გარდამავალი პროექტების დასრულება ბაღი : მათ შორის

1.გარდამავალი პროექტი 24-26 წლები (პროექტის ღირებულებაა-3 229 522ლარი) სოფელ ერგეში საბავშვო ბაღისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე 2026წელს გასათვალისწინებელი თანხა- 1 404 489 ლარი.

2.გარდამავალი პროექტი 24-26წლები (პროექტის ღირებულებაა-3 642 374ლარი) სოფელ განთიადში საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული შენობის და სამუსიკო სკოლის მშენებლობაზე 2026 წელს გასათვალისწინებელი თანხა -1 542 374 ლარი.
3. ჭარნალის ბაღის რეაბილიტაცია 700 000 ლარი.
4. ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა 1 400 000 ლარი.
5. საბავშვო ბაღებისათვის სათამაშოების შეძენა 200 000 ლარი.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 5 057 450 ლარი მათ შორის:**

  - ✔ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2 650 530 ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

  - ✔ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა 2 311 900 ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია.

  - ✔ **ახალგაზრდობის განვითრების მხარდაჭერა 60 000 ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

  - ✔ **ტურიზმის ბის განვითრების მხარდაჭერის პროგრამა 35 000 ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტურიზმის პოპულარიზების მიზნით, ხელვაჩაურის ტურისტული ადგილების, ტრადიციის და საინტერესო ადამიანების წარმოჩენა, ტურისტების მოზიდვა, როგორც საქართველოს ასევე უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, კულინარიის და ტრადიციების წარმოჩენა, ეროვნული პარკების და დაცული ლანდშაპტის პოპულარიზება.

- ✔ **სტუდენტთა და მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა – 121 500 ლარი;**

აღნიშნული წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა და მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამას, პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სკოლებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე და მოსწავლეებზე სტიპენდიის გაცემას

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 4 242 315 ლარი**
- *2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით* **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა პროგრამები** *გაზრდილია (82150 ლარით). აღნიშნული მოცულობით მატება გამოწვეულია არსებულ პროგრამებში თანხის ზრდით.*

- ✔ **ჯანმრთელობის დაცვა – 1 440 650 ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამები:**

- ✔ დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა 40 000 ლარი;
- ✔ სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა 188 550 ლარი;
- ✔ თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიკიკური აშლილობის მქონე პირებისათვის პროგრამა 187 200 ლარი;
- ✔ ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა 88 200 ლარი;
- ✔ იშვიათი დაავადებით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 18 500 ლარი;
- ✔ 0–დან–200000–მდე ქულის მქონე მოვლის საჭიროების პირთა მატერიალური მხარდაჭერა 187 200 ლარი;
- ✔ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 440 000 ლარი;
- ✔ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება 291 000 ლარი.

- ✔ **სოციალური პროგრამები (13-მიზნობრივი პროგრამა) - 2 801 665 ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:**
- ✔ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა-215 935 ლარი;
- ✔ ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო ღღეების ორგანიზება და დახმარება-9 000 ლარი;
- ✔ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება-105 000 ლარი;
- ✔ მრავალშვილიანი და დედმამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება-60 000 ლარი;
- ✔ 0-დან 100 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება-25 000 ლარი;
- ✔ 0-დან 200 000 ქულის მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება-12 200 ლარი;
- ✔ გაზიფიცირების პროგრამა 0-დან 100 000-ქულის მქონე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის-20 000 ლარი;
- ✔ მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება-115 000 ლარი;
- ✔ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე დახმარების უზრუნველყოფა (ბინის ქირა)-1 830 000 ლარი;
- ✔ შშმ სტატუსის მქონე (18 წლამე) ბავშვთა საკურორტო რეაბილიტაცია-128 400 ლარი;
- ✔ 0 - დან-70 000 სარეიტინგო ქულის მქონე (სამ და ოთხ შვილიანი) ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 115 000 ლარი.
- ✔ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა 139 930 ლარი
- ✔ საქმიანობათა ცენტრი ხელვაჩაურის უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 26 200 ლარი.

- **მმართველობა - 16 117 103 ლარი, მათ შორის:**
  - ✔ საკრებულოს დაფინანსება - 1 602 140 ლარი;
  - ✔ მერია - 14 039 963 ლარი;

- ✔ სარეზერვო ფონდი – 420 000 ლარი;
- ✔ ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა საკითხების, ოჯახის გაძლიერების მხარდაჭერის ხელშეწყობა/თანასწორობის ხელშეწყობა 55 000 ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**71 846 906**
01 01 01	საკრებულო	1 602 140
01 01 02	მერია	14 039 963
01 02 01	სარეზერვი ფონდი	420 000
01 02 04	ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის, ქალთა და ბავშვთა საკითხების, ოჯახის გაძლიერების მხარდაჭერის ხელშეწყობა / თანასწორობის ხელშეწყობა	55 000
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	28 892 018

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	7 000 845
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	5 851 500
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	12 447 515
02 04	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	400 000
02 05	აიაპ ხელვაჩაურის სასაფლაოები	881 782
02 08	ა(ა)იპ "მაჭახელას დაცული ლანდშაპტის სამმართველო"	522 976
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 037 354
04 00	განათლება	14 444 909
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	14 323 409
04 02	სკოლების ხელშეწყობის ღონისძიება	121 500
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6 113 207
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 650 530
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3 367 677
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	60 000
05 04	ტურიზმის მხარდაჭერის განვითარების პროგრამა	35 000
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 440 650
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	2 801 665

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ების ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	რიცხოვნობა შტატით	დასახელება	2026 წლის პროექტი
	977	**სულ ჯამი**	**19 512 988**
02 01 00	39	ა(ა)იპ მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	1 787 440
02 02 01 03	18	შ.პ.ს. ,,ხელვაჩაურის წყალი''	1 994 500
02 05	11	ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასაფლაოები	881 782
02 08	16	ა(ა)იპ "მაჭახელას დაცული ლანდშაპტის სამმართველო"	522 976
03 01 01	27	ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური''	1 507 354
04 01 01	575	ა(ა)იპ ხელვაჩაურის ბაღების გაერთიანება	9 076 546
05 01 01	79	ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა	1 111 730
05 01 03 01	19	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა შპს მაჭახელა	264 000
05 01 03 02	4	შპს ხელვაჩაურის სარაგბო კლუბი შტურმი	254 800
05 02 03	189	ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	2 111 900

2026 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი

№	პროექტის დასახელება	თანხა (ლარი)

1	2	3
1	სოციალური სახლის მშენებლობა სოფელ **ერგეში** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (სრულდება 2026-ში)	4 771 525
2	სოციალური სახლის მშენებლობა სოფელ **სალიბაურში** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (დასრულდება 2027-ში)	6 500 000
3	სოფელ ერგეში საბავშვო ბაღისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა *(გარდამავალი სრულდება)*	1 404 489
4	სოფელ განთიადში საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული შენობის და სამუსიკო სკოლის მშენებლობა *(გარდამავალი სრულდება)*	1 542 374
5	ჭარნალის ბაღის რეაბილიტაცია	700 000
6	ბაღებისათვის ინვენტარის შეძენა	1 400 000
7	სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობა მოეწყობა (44 -პროექტი)	4 500 000
8	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის აუზების მაგისტრალების, ჭაბურღილების საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია და ჰიპოქლორიდის აპარატების შეძენა/მონტაჟი მოეწყობა (7- პროექტი)	2 499 000
9	შიდა-სასოფლო გზების რეაბილიტაცია მოეწყობა (10 პროექტი)	2 000 845
10	ახალშენის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	1 055 777
11	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცენტრების, სკვერების, პანდუსების, საზოგადოებრივი შენობების და ეზოების კეთილმოწყობა მოეწყობა (4 პროექტი)	825 990
12	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია მოეწყობა (3-პროექტი)	800 000
13	მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანებული ხიდების მოწყობა (2-პროექტი)	500 000
14	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა (5 პროექტი)	500 000
15	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	400 000

16	საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების გამოვლენის,აღრიცხვისა და **თუნუქით უზრუნველყოფის პროგრამა**	350 000
	ჯამი	**29 750 000**